ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N01

ქ. ონი

25 აგვისტო 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

- სერგო ხიდეშელი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი;
- თინათინ ბროლაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კორდინატორი;
- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნინო მეტრეველი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თეიმურაზ გძელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი ბენდიანიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მარინე მაისურაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- დავით ჩიხრაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ირმა მაისურაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ალავერდ ხვედელიანი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი მეტრეველი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვასილ მეტრეველი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- სერგო ლობჯანიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

- ლევან ორდინიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვლადიმერ ბერელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნინო მეტრეველი - სამუშაო ჯგუფის მდივანი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტის წარდგენა.

განხილვა:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, თინათინ ბროლაშვილმა, რომელმაც ისაუბრა 2023-2026 წლის პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტში განსაზღვრულ შემოსავლებსა და ძირითად პრიორიტეტებზე. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი პირველადი ვარიანტია და დაზუსტდება ფინანსთა სამინიტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებისა და მაკროეკონომიკურ პროგნოზების მიღების შემდგომ, ასევე საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებების მიერ წაარმოდგენილი პროგრამების, ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების შესაბამისად.

განხილული იქნა ონის მუნიციპალიტეტის თითოეული პრიორიტეტზე განსაზღგრული პროგრამები. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ გმელიშვილმა ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც იგეგმება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. გასულ წელს დაწყებული სოფლებში მისასვლელი გზების კაპიტალური შეკეთება-ასფალტირების სამუშაოებში კვლავ გაგრძელდება, კერძოდ: სოფელ პიპილეთი-ჟაშქვის გზის ცემენტ-რკინა-ბეტონით მოწყობა, სოფელ ლაგვანთა საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა, სოფელ ზუდალი-სევის გზის ასფალტირება და სოფელ ფარახეთში გზის ასფალტირება. მიმდინარე წელს შეძენილი პროექტები სოფლებში მისასვლელი გზების მოწყობაზე ეტაპობრივად გადანაწილდება მომავალ წლებში; ასევე ეტაპობრივად შესრულდება წყლის სისტემის ცენტრალური მაგისტრალის და შიდა ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები სოფელი სევა, ფარახეთი, შარდომეთი, ახალი ჩორდი, ზვარეთი, ხეითი, ჯოისუბანი; ასევე გაგრძელდება წინა წლებში მიმდინარე ქ. ონში ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის შემდეგი ეტაპები ვახტანგ მეექვსის ქუჩისა და ლებანიძის სანაპიროს მოწყობაზე; დასრულდება საჭიდაო დარბაზის მშენებლობა; ასევე გახორციელდება სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობის რეაბილიტაცია; განხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა სოფლებში წყალანირების სისტემის მოწყობის, ახალი ბუნებრივი საფარიანი სტადიონის მოწყობის სამუშაოებზე; ასევე გაგრძელდება ქალაქის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება. ყურადღება მიექცევა უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვას.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ვასილ მეტრეველი გამოვიდა ინიციატივით, აღწერილი და რეგისტრირებული იქნას მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენის სათავე ნაგებობები და

ძირითადი მაგისტრალი, რათა მოხდეს სწორი და ეფექტური გათვლა წყლის მომსახურებაზე და დახარჯული თანხები უფრო ეფექტური იყოს რათა არ დავდგეთ ისევ იმ პრობლემის წინაშე. ამასთან დაკავშირებით კარგი იქნება ჩამოვაყალობოთ ა(ა)იპ-ი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეულ სოფელში წყალსადენების მომსახურებას. ასევე შეიძლება მუნიციპალიტეტში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე ამ ორგანიზაციამ გაუწიოს მომსახურება. ეს ინიციატივა მოიწონეს და მუნიციპაიტეტის მერმა სერგო ხიდეშელმა აღნიშნა რომ ამასთან დაკავშირებით მოხდება შესაბამის სამსახურებთან მუშაობა.

სერგო ლობჯანიძემ სამუშაო ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ტურიზმის განვითარებისათვის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კერძოდ ღებიდან ბრილში ეკლესიამდე და სასვანოს მიმართულებით გზის მოწყობა, ასევე სახაზოს მიმართულებით გზის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ტურისტების მოზიდვის. მერმა სერგო ხიდეშელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს პროექტირებაზე მუშაობა შქმერი-მრავალძლის მიმართულებით გზისა და ბოყვა-ხირხონისი-ჟაშქვის მიმართულებით გზის პროექტირების შესყიდვაზე და მომავალში ეტაპობრივად განხორციელდება ტურიზმის განვითარებისათვის გზების მოწესრიგება. მერმა ასევე ისაუბრა დიდი პროექტების განხორციელების თაობაზე სოფლებში, რათა მოხდეს წყლისა და წყალანირების სისტემების მოწესრიგება, რომლის პროექტირებები მიმდინარეობს.

ვასილ მეტრეველმა სამუშო ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ სოფელი უწერა საკურორტო ზონაა და დამსვენებლების რაოდენობა ყოველწლეულად მატულობს, ხოლო სარეკრიაციო ზონა ტურისტებისათვის არ არსებობს. არის ტერიტორია მდ.რიონის სანაპიროზე ნაპერწკალას გასწვრივ, მდ.ბეღლორის მიმართულებით სადაც შესაძლებელი იქნება კარგი დასასვენებელი სკვერის მოწყობა. შესაძლებელია ასევე მოეწყოს სოფელ გლოლაში და მრავალძალში დასასვენებელი ადგილები, სკვერები, სარეკრიაციო ზონები, შეირჩეს ადგილების ტურისტული ბილიკების გასაკეთებლად. ასევე ვასილ მეტრეველმა ისაუბრა მერიის და საკრებულოს შენობების არ არსებობაზე უნდა მოხდეს ძველი სავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია სადაც იქნება როგორც საკრებულო, მერია ასევე რამოდენიმე ა(ა)იპი განთავსებული.

გიორგი მარკოიშვილმა აღნიშნა, რომ სოფლებში გარე განათების ხაზი მოძველებულია, ხშირად ზიანდება რაც ზედმეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული და საჭიროა ახალი ქსელის მოწყობა. გივი მეტრეველმაც იგივე აღნიშნა, რომ ქალაქშიც და სოფლებშიც უკვე მოძველებულია გარე განათების ქსელი და საჭიროა ნელ-ნელა გადავიდეთ გარე განათების ახალ სტანდარტებზე მოძველებული სადენები გამოიცვალოს და ჩაიდოს მიწაში ასევე შეიცვალოს ძველი ნათურები ახალი თანამედროვე ეკონომიური ნათურებით. გიორგი მარკოიშვილმა ითხოვა სოფელ ღარში ასფალტირების გარეშე დარჩენილ უბნებზე მოხდეს ასფალტის დაგება.

თეიმურაზ გძელიშვილმა აღნიშნა, რომ მრავალძლის ტაძრის ტერიტორიაზე არსებული დამხმარე შენობის რეაბილიტაცია დასასრულებელია და საჭიროა თანხის გაზრდა 100 000 ლარამდე. ასევე საჭიროა დასუფთავების ხარჯების გაზრდა მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე ამბროლაურში გადაზიდვის მიზნით ასევე საჭიროა მომავალში ახალი ნაგავმზიდი ავტომანქანის შეძენა .

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტი (პირველადი ვარიანტი) მოწონებული იქნეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ სამუშაო ჯგუფის ოქმით. წამოჭრილი პრობლემები და წინადადებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება. დამუშავდება ონის

მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი რომლის საბოლოო სახეს ნოემბრამდე წარადგენს სამუშაო ჯგუფი.

თავმჯდომარე:	სერგო ხიდეშელი
სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:	თინათინ ბროლაშვილი
მდივანი:	ნინო მეტრეველი
სამუშაო ჯგუფის წევრი:	ვალერიან გობეჯიშვილი
	ნინო მეტრეველი
	თეიმურაზ გძელიშვილი
	გივი ბენდიანიშვილი
	მანანა ჩაგელიშვილი
	მარინე მაისურაძე
	დავით ჩიხრაძე
	ალავერდ ხვედელიანი
	გივი მეტრეველი
	გიორგი მარკოიშვილი
	ვასილ მეტრეველი
	სერგო ლობჯანიძე
	ლევან ორდინიძე
	ვლადიმერ ბერელიძე